აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი

MES 0 20 0001170716

08/12/2020

სსიპ - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს თავმჯდომარეს
ბატონ ნიკა ახალბედაშვილს

ბატონო ნიკა,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში შემოსული საჯარო ინფორმაციის შესახებ განცხადებების სტატისტიკას 2020 წლის მდგომარეობით.

მოგახსენებთ, რომ 2020 წლის 3 იანვრიდან 2020 წლის 7 დეკემბრის ჩათვლით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით სულ შემოვიდა 6 (ექვსი) განცხადება. ექვსივე განცხადებაში მითითებული მოთხოვნა დაკმაყოფილდა და სამინისტრომ მიაწოდა დაინტერესებულ პირებს საჯარო ინფორმაცია და გადასცა ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის ასლი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეების მხრიდან „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა დარღვევას და შესაბამისად პასუხისმგებელი პირისთვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს პერსონალურ მონაცემეთა დაცვის საკითხებზე პასუხისმგებლელი პირია სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - თამარ გამისონია.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს

იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - ედიშერ კვარაცხელია.

პატივისცემით,

მინისტრი
ნიჟარაძე როლანდ